

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
ხ ი დ ი - 2 0 0 6

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

- სრული შემოსავლების ანგარიშგება
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
- ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს ხიდი-2006
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	538 111	5 957 794
სხვა შემოსავლები	9 604	42 409
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში	(127 840)	133 905
მარაგის შეძენა	(396 606)	(4 217 083)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი	(222 474)	(460 795)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(991 284)	(919 464)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	(560 577)	(2 498 834)
საგადასახადო ხარჯი	(584 330)	(128 250)
სხვა ხარჯი	(1 652)	-
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან	(2 337 047)	(2 090 319)
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი	(1 435)	(22 456)
ფინანსური ხარჯი	(4 419)	(21 827)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე	(2 342 902)	(2 134 602)
მოგების გადასახადი	-	(14 218)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზ:	(2 342 902)	(2 148 821)

დირექტორი: ქეთევან კვაჭაძე

ბუღალტერი: გოჩა ქათამაძე



შპს ხიდი-2006

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7 20 316 739	14 222 526	12 631 043
არამატერიალური აქტივები	26 212	32 068	32 469
სულ გრძელვადიანი აქტივი	<u>20 342 951</u>	<u>14 254 594</u>	<u>12 663 512</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	8 403 206	531 045	399 189
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	9 2 931 492	9 119 696	1 982 575
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	22 295	285	13 623
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	10 97 725	71 299	200 527
სულ მიმდინარე აქტივები	<u>3 454 718</u>	<u>9 722 326</u>	<u>2 595 915</u>
სულ აქტივები	<u>23 797 669</u>	<u>23 976 920</u>	<u>15 259 427</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	30 390 447	28 256 999	17 191 894
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	(7 382 545)	(5 039 643)	(2 890 034)
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>23 007 902</u>	<u>23 217 356</u>	<u>14 301 860</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	-	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	<u>-</u>	<u>-</u>	<u>-</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11 643 498	589 537	822 661
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	146 269	170 027	134 906
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>789 767</u>	<u>759 564</u>	<u>957 567</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	<u>23 797 669</u>	<u>23 976 920</u>	<u>15 259 427</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



ქეთევან კვაჭაძე

გოჩა ქათამაძე

შპს ხიდი-2006

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება- ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2022 წაშთი	17 191 894	(2 890 034)	14 301 860
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	11 065 105		11 065 105
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(2 148 821)	(2 148 821)
გაცემული დივიდენდი			-
31.12.2023 წაშთი	28 256 999	(5 038 855)	23 218 144
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	2 133 448		2 133 448
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(2 342 902)	(2 342 902)
გაცემული დივიდენდი			-
31.12.2024 წაშთი	30 390 447	(7 381 756)	23 008 691

დირექტორი

ქეთევან კვაჭაძე

ბუღალტერი

გოჩა ქათამაძე



შპს ხიდი -2006

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	563 889	4 424 544
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(10 918)	(13 265 630)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(170 459)	(309 069)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	<u>382 511</u>	<u>(9 150 156)</u>
გადახდილი გადასახდები	548 946	(676 302)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	<u>931 457</u>	<u>(9 826 458)</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>931 457</u>	<u>(9 826 458)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(3 080 643)	(1 968 404)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	2 178 459	11 674 440
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(902 184)</u>	<u>9 706 037</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	-	-
სესხის ძირის გადახდა	-	-
სესხის პროცენტის გადახდა	(4 419)	(4 110)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	-	3 797
სავალუტო გადაფასების ხარჯი	1 572	(8 495)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(2 847)</u>	<u>(8 807)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	<u>26 426</u>	<u>(129 228)</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	<u>71 299</u>	<u>200 528</u>
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>97 725</u>	<u>71 299</u>

დირექტორი

ქეთევან კვაჭაძე



მთ. ბუღალტერი

გოჩა ქათამაძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ხიდი-2006 შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ, საწარმოს იურიდიული მისამართი არის, ბათუმი, რუსთაველის 34, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ბათუმი, რუსთაველის 34. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო მომსახურება, სასტუმრო მომსახურება. ქონების იჯარით გაცემა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2024 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლის გავლენა საწარმოს საანგარიშგებო ფინანსურ მდგომარეობაზე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე განმარტებულია შენიშვნაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან (სხვა საწარმოდან) მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა ნაგებობები	-1,3 -5 %
- მანქანა დანადგარები	-10-15%
- საოფისე აღჭურვილობა	-20-50%
- ავეჯი და მოწყობილობები	-15-35%
- სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
- სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, და გროვდება საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახით.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების

ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. ანალოგიურად, გადაფასების შემცირებად განიხილება გადაფასებულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.5 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებულ პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან და მომსახურებიდან	538 110.76	5 957 794.11
	ჯამი	538 110.76	5 957 794.11

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2023 წელი	2023 წელი
1	სატრანსპორტო მომსახურება	66 929.18	108 814.45
2	საიჯარო მომსახურება	57 705.00	63 333.16
3	კომუნალური მომსახურება	158 407.68	220 343.87
4	კომუნიკაციის ხარჯი	5 878.86	5 656.01
5	საკონსულტაციო ხარჯები	4 109.45	93 038.24
6	სხვა მომსახურების ხარჯი	267 546.43	2 007 648.10
	ჯამი:	560 576.60	2 498 833.83

0.00

0.00

6. სხვა ხარჯები

(ლარი)

	დასახელება	2023 წელი	2023 წელი
1	სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1 652.00	0.00
	ჯამი:	1 652.00	0.00

7. ძირითადი საშუალებები

0.00

(ლარი)

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
1	მიწის ნაკვეთები	1 851 056.00	0.00	0.00	1 851 056.00
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	7 470 558.57	7 040 447.85	0.00	430 110.72
3	შენობა ნაგებობები	8 467 693.01	7 161.53	0.00	8 460 531.48
4	მანქანა-დანადგარები	1 723 391.85	21 860.17	0.00	1 701 531.68
5	ავეჯი და სხვა ინვენტარი	2 213 728.27	8 731.31	0.00	2 204 996.96
6	სატრანსპორტო საშუალებები	1 448 968.99	0.00	0.00	1 448 968.99
7	სარესტორნო აღჭურვილობა	1 290 058.11	1 440.68	0.00	1 288 617.43
8	სხვა	112 390.68	0.00	0.00	112 390.68
	ჯამი:	24 577 845	7 079 642	0.00	17 498 203.94

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2024	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2023
1	მიწის ნაკვეთები ცვეთა	0.00	0.00	0.00	0.00
2	დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა	826 470.23	168 940.99	0.00	657 529.24
3	შენობა ნაგებობების ცვეთა	0.00	0.00	0.00	0.00
4	მანქანა-დანადგარების ცვეთა	774 017.36	259 856.74	0.00	514 160.62
5	ავეჯი და სხვა ინვენტარის ცვეთა	1 295 507.11	281 255.37	0.00	1 014 251.74
6	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	529 015.06	135 150.02	0.00	393 865.04
7	სარესტორნო აღჭურვილობის ცვეთა	815 579.27	129 081.46	0.00	686 497.81
8	სხვა ცვეთა	20 517.30	11 144.07	0.00	9 373.23
	ჯამი:	4 261 106	985 429	0.00	3 275 677.68
	საბალანსო ღირებულება	20 316 739			14 222 526.26

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2024	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2023
1	ლიცენზიები	51 754.65	0.00	0.00	51 754.65
2	სხვა არამატერიალური აქტივები	0.00	0.00	0.00	0.00
	ჯამი:	51755	0	0.00	51 754.65

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2024	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2023
1	ლიცენზიების ამორტიზაცია	25 542.35	5 855.63	0.00	19 686.72
2	სხვა არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	0.00	0.00	0.00	0.00
	ჯამი:	25 542	5 856	0.00	19 686.72

	საბალანსო ღირებულება	26 212			32 067.93
--	-----------------------------	---------------	--	--	------------------

9. მარაგი

(ლარი)

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	შეძენილი მარაგი	396 605.57	4 217 083.14
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	531 045.47	399 189.30
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	403 205.95	531 045.47

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	სავაჭრო მოთხოვნები	2 931 491.72	9 119 695.96
	ჯამი:	2 931 491.72	9 119 695.96

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	39 814.69	29 831.24
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	27 305.79	2.06
3	ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	31 023.72	41 465.57
4	ნაღდი ფული სალაროში - უცხოური ვალუტა	0.00	0.00
	ჯამი:	98 144.20	71 298.87

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0.00	0.00
	ჯამი:	0.00	0.00

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

	დასახელება	2024 წელი	2023 წელი
1	სავაჭრო ვალდებულებები	643 498.25	589 537.29
	ჯამი:	643 498.25	589 537.29

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი:

ქეთევან კვაჭაძე

მთ. ბუღალტერი:

გოჩა ქათამაძე

